პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 16 დეკემბერი, 1989 წელი ● № 51 (2876) ● СУББОТА, 16 ДЕКАБРЯ 1989 г.

## ОФИЦИАЛЬНАЯ ИНФОРМАЦИЯ

**БЕЗУСЛОВНО** важнейшим событием в жизни нашей страны на этой неделе стало открытие второго Съезда народных депутатов СССР.

**12 декабря** при открытии Съезда выступил Председатель Верховного Совета СССР М. С. Горбачев.

М. С. Горбачев подробно проинформировал депутатов обо всех предлагаемых пунктах повестки дня, изложил мотивировки их вынесения на рассмотрение Съезда. Острая дискуссия развернулась вокруг третьего пункта повестки дня, который предусматривает внесение изменений и дополнений в Конституцию (Основной закон) СССР по вопросам избирательной системы. При поименном голосовании Съезд отвергает предложение рассмотреть шестую статью Конституции. Отклоняются и другие предложенные поправки к этому пункту повестки дня. После столь же бурных и заинтересованных обсуждений, внесения поправок и дополнений утверждаются и другие пункты повестки дня.

**13 декабря.** Во второй день работы Съезда был заслушан доклад Председателя Совета Министров СССР Н. И. Рыжкова «Эффективность, консолидация, реформа — путь к здоровой экономике». Состоялось обсуждение доклада.

**14 декабря.** Народные депутаты продолжили работу на Съезде в трех секциях, причем каждый депутат мог избрать ту, в работе которой ему интереснее и полезнее было бы участвовать.

Съезд продолжает работу.

გარდაქმნის გზით

## კარი გავუღოთ დემოკრატიას

**საბჭოთა** სა[illegible] წლეულების განმავლობაში დამკვიდრებული ცხოვრების [illegible] მტკივნეულად მიმდინარეობს. ყველაფერი, რაც კი წა[illegible] დამკვიდრდა, უცვლელად წარმოგვედგინა. საქმის ახლებურად გადაწყვეტა ზოგიერთებს ქვეყნის ნგრევა ჰგონიათ. ამიტომაც ებღაუჭება ბიუროკრატია დახავსებული წესების თუ უწესობის შენარჩუნების შესაძლებლობებს.

დღეისათვის მშრომელ მასებში გამოღვიძებულმა ადამიანობის სრულფასოვნების გამომჟღავნების გრძნობამ ბევრი საფიქრალი გაუჩინა საზოგადოებას. ყველაფერს კრიტიკული თვალით სჭირდება შეფასება და გადახალისება, რათა ცხოვრებაში დამკვიდრდეს დემოკრატიის, საჯაროობის, ობიექტური კანონზომიერების და ჰუმანიზმის პრინციპები.

ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობენ ძალები, რომლებიც აღჭურვილნი არიან განსაკუთრებული უფლებამოსილებით ამ სახელმწიფოში გაბატონებული წეს-წყობილების დასაცავად.

საბჭოთა სინამდვილეში ასეთ ძალებს მიეკუთვნებიან შინაგან საქმეთა ორგანოები, რომელთა ძირითად ამოცანას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

დადგა დრო, რომ ჩვენი მოღვაწეობის ზოგიერთ სფეროში კარი გავუღოთ დემოკრატიას, რომელიც წარსულში არც იკრძალებოდა არავითარი სახელმძღვანელო დოკუმენტებით ან პრინციპებით და არც გამოიყენებოდა, უბრალოდ, იგნორირებული იყო ყოვლისშემძლეთა მიერ.

მხედველობაში მაქვს ისეთ თანამდებობებზე ხელმძღვანელთა არჩევნები, რომლებიც არ ინიშნებიან უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, ან მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

საინტერესოა, ხელოვნურად შექმნილი ცხრაკლიტულის პრინციპები რომ დაგვერღვია და რომელიმე შინაგან საქმეთა განყოფილების პირად შემადგენლობას აერჩია განყოფილების უფროსი, მოადგილე, ქვეგანყოფილების ან სხვა რანგის ხელმძღვანელი, დაშავდებოდა რამე?

პირადი შემადგენლობა, ხომ მოწოდებულია სამოქმედო ტერიტორიაზე სათანადო წესრიგის დასამყარებლად, მათ ხომ ყველაზე მეტად აწუხებთ სამოქმედო უბანში არსებული ოპერატიული მდგომარეობა და ყველაზე მეტად მოეთხოვებათ პასუხი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სწორად ორგანიზაციისათვის? და განა მათ უფრო არ შეუძლიათ ამ ბრძოლაში ღირსეული წინამძღოლის შერჩევა თავიანთივე თანამებრძოლთაგან? მითუმეტეს თუ პრეცენდენტები უკვე არ სებობს.

მოდით, ნუ შეგვეშინდება დემოკრატიის, გავუღოთ მას კარი, რომლის ჩაკეტვა არავის უბრძანებია. დავნერგოთ შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩევის პრაქტიკა. ჩემი აზრით, ამას მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ არჩეული ხელმძღვანელი პირადი შემადგენლობის გავლენის ქვეშ მოექცევა. პირიქით, პირადმა შემადგენლობამ იცის ვის ანდობს იგი კოლექტივის ბედს, ვინ გაუძღვება მათ მძიმე შრომისა და დაუსრულებელი ბრძოლის გზაზე. არჩეულ ხელმძღვანელს უფრო გულიანად ამოუდგებიან მხარში და მასთან ერთად ვაჟკაცურად გადაიტანენ ყოველგვარ სირთულეს.

მხოლოდ კოლექტივის აზრის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს წარმატების საწინდრად და მხოლოდ ერთსულოვან კოლექტივში ჩამოყალიბდება ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი და დარღვევებისადმი შეურიგებელი ატმოსფერო.

ჩემი აზრით, მილიციის ორგანოებში ხელმძღვანელ მუშაკთა დემოკრატიული არჩევნების დანერგვამ შეიძლება შექმნას იმის რწმენის საფუძველი, რომ ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნამ მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო.

როგორია თქვენი აზრი ჩემო კოლეგებო?

**რ. ბრიგალაშვილი,**

**ქ. თბილისის შს სამმართველოს სსრკ საბბანკის დაწესებულებათა დაცვის მილიციის ცალკე დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

В ПЕРЕДОВОМ ПОДРАЗДЕЛЕНИИ



Пожарная часть по охране Сабурталинского района является одной из передовых в Тбилисском гарнизоне. Подразделение за хорошие показатели в боевой и политической подготовке не раз награждалось переходящим вымпелом «Лучшая пожарная часть». Более 60 процентов рядового состава среди пожарных составляет молодежь.

**НА СНИМКЕ:** старший пожарный, комсомолец, младший сержант внутренней службы Г. Горозашвили на тактических занятиях.

## საქართველოს სსრ შს სამინისტროს პარტიულ კომიტეტში

**30 ნოემბერს** გაიმართა საქართველოს სსრ შს სამინისტროს პარტიული კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა საკითხი — ქართული ენის ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ სამინისტროს სამმართველოებსა და დამოუკიდებელ განყოფილებებში ბოლო პერიოდში პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ქართული. ენის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს სამინისტროში ქართული ენის გამოყენებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. რიგ დანაყოფებში შექმნილი ან განახლებული იქნა ქართული შრიფტით საბეჭდი მანქანები. დაისახა ღონისძიებები ბეჭდვითი მომუშავე პერსონალის ხელახლა მოსამზადებლად ან მდივან-მემანქანეთა და მემანქანეთა საშტატო ერთეულების ახალი კადრების დასაკომპლექტებლად.

პარტიული კომიტეტი ითვალისწინებს იმასაც, რომ საქართველოს სსრ შს სამინისტრო სპეციფიური სახელმწიფო დაწესებულებაა, სადაც ქართულთან ერთად, საკავშირო ორგანოებთან მისი ინტენსიური ურთიერთობის გამო, აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული რუსული ენაც. მაგრამ მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სრულებითად ვერ იქნება გამართლებული ზოგიერთი სამმართველოებისა და დამოუკიდებელი განყოფილებების ხელმძღვანელების აგრეთვე პარტორგანიზაციების ზერელე დამოკიდებულება ისეთი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საკითხის მიმართ, როგორიცაა ქართული ენის გამოყენების საკითხი. უმეტეს შემთხვევაში სამინისტროს სამსახურებში ოპერატიული თათბირები, კრებები და სხვა ღონისძიებები ტარდება ქართულ ენაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ოქმები ფორმდება რუსულ ენაზე.

ჯერ კიდევ სერიოზული ჩამორჩენაა ქართული ენის გამოყენების საქმეში სამინისტროს კადრების სამმართველოში.

ყოვლად შეუწყნარებელია, რომ მე-2-ე სპეცგანყოფილებაში, კავშირგაბმულობის სამხედრო — სამობილიზაციო და საფინანსო-საგეგმო განყოფილებაში (უფროსები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები შესაბამისად ამხ.: არჩვაძე, პ. მარგარიტოვი, ე. შერბინინი, ბ. რაკოვენკო, ვ. აბულაძე, რ. წამალაშვილი, ი. გუგუნავა, ც. ხარატიშვილი) ქართულმა ენამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სათანადო გამოყენება. კერძოდ, ამაზე მეტყველებს საქართველოს ტელევიზიის კრიტიკული გადაცემა, რომელშიც საუბარი იყო საქართველოს სსრ შს სამინისტროს საფინანსო-საგეგმო განყოფილებაში ქართული ენის იგნორირების კონკრეტულ ფაქტზე.

ყოველივე [illegible] აღნიშნული შედეგია იმისა, რომ სამინისტროს სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთი ნაწილი პოლიტიკურად სწორედ ვერ აფასებენ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებას და აქედან გამომდინარე, თავიანთი მოქმედებით აფერხებენ ქართული ენისათვის ერის ცხოვრებაში თავისი კუთვნილი ადგილის დაკავებასა და კონსტიტუციური უფლების მოპოვების პროცესს.

პარტიული კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ამხ.: ა. ბახტაძე, ჯ. სურმავა, ნ. მოსიაშვილი, კ. ბუჯიაშვილი, ბ. შონია, ი. ჭელიძე.

სხდომაზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

## შს სამინისტროს თანამშრომელთა რიგების სიწმინდისათვის

# და მაინც ვინ არის ვ. ჩიქოვანი?

**საუბარი** მინდა დავიწყო სიტყვებით, 1988 წლის 14 ივნისს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში", რუბრიკით „ვინ არის ვინ", დაბეჭდილი ი. კილაძის მასალიდან „სამართა ლდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომლების კოლექტიური საჩივარი, რომელმაც თავად ისინი ამხილა". (მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს დასახელებულ მასალას, ვფიქრობთ მასში ბევრ საგულისხმოს ამოიკითხავს):

„...ჩვენს დროში მილიციის თანამშრომლებს ბრძოლა უხდებათ არა მხოლოდ მათთან, ვინც არღვევს კანონს, არამედ, რიგ შემთხვევაში, თავიანთ ყოფილ კოლეგებთანაც, რომლებმაც ჩაიდინეს სხვადასხვა დარღვევები და რაც უფრო გაბედულად მიმდინარეობს მილიციის რიგების გაწმენდა იმათგან, ვინც საკუთარი ქცევით ხახელს უტეხს მას საზოგადოების თვალში, მით უფრო დაჟინებული და მრავალფეროვანი ხდება ამ პირთა წინააღმდეგობა".

„მებრძოლი გუშაგის" მკითხველს გვინდა გავაცნოთ ერთ-ერთი, ასეთი „ყოფილთაგანი", რომლის მოქმედებასაც ზედმიწევნით მიესადაგება ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი სიტყვები. ეს გახლავთ საქართველოს სსრ შს სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოსუფროსის ყოფილი მოადგილე ვ. ჩიქოვანი. მისი პიროვნება ამ ბოლო დროს ინტერესს იწვევს საზოგადოებაში, მის ვინაობაზე მრავალი შეკითხვით მოგვმართეს „მებრძოლ გუშაგშიც", ამის მიზეზი ვფიქრობთ მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი, ჩიქოვანი არც ადრე „აკლებდა ხელს" სხვადასხვა ინსტანციებში „სამართლის ძიებას," სადაც საკუთარ თავს წარმოადგენდა უსამართლოდ დაჩაგრულ კაცად.

და მაინც ვინ არის ჩიქოვანი?

## შს სამინისტროს სისტემაში

## მუშაობის დაწყება

**საბჭოთა** არმიის რიგებიდან დემობილიზების შემდეგ, თადარიგის პოდპოლკოვნიკი ჩიქოვანი, 1979 წლის ივლისში დაინიშნა არასაუწყებო დაცვის სამმართველოს სარემონტო-სამონტაჟო უბნის ნებით დაქირავებული ინჟინრის თანამდებობაზე. ამავე დროს იგი თბილისის შს სამმართველოს არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. 1980 წლის 31 მაისს ბრძანებით ჩიქოვანი (რჩებოდა რა ნებით დაქირავებულად) ოფიციალურად დაინიშნა თბილისის შს სამმართველოს არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

ჩიქოვანის ამ თანამდებობაზე დანიშვნა მოხდა კანონის დარღვევით, იმისდა მიუხედავად, რომ მას შს სამინისტროს სამხედრო-სამედიცინო კომისიამ უარი უთხრა შს ორგანოებში მიღებაზე, რადგანაც 1978 წელს იგი საბჭოთა არმიიდან დაითხოვეს შეზღუდული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

უფრო მეტიც, დანიშვნა მოხდა მაშინ, როდესაც ჩიქოვანის მიმართ ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ გამოყენების გამო, რომელიც შეწყვეტილ იქნა ამნისტიით.

მიუხედავად ამისა ჩიქოვანი განაგრძობს თავის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს. კერძოდ, მან შეღავათიანი სამუშაო რეჟიმი შეუქმნა საკუთარ მეუღლეს(!), რომელიც ერთი წლის მანძილზე გაფორმებული იყო რა ელექტრომონტიორად, ქმართან ასრულებდა მდივან-მემანქანის მოვალეობას. ჩიქოვანმა აქაც გამონახა დამატებითი „წყარო" და ცოლს ბრძანებით მიანიჭა ელმონტიორის უფრო მაღალი, VI თანრიგი, ხელფასის ყოველთვიური 40 პროცენტის პრემიალური დანამატით, მაგრამ ყოველივე ეს სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა.

პარალელურად ჩიქოვანს კვლავ არ ასვენებს დაწინაურების სურვილი. მისთვის ცხადი ხდება, რომ შემდგომში შს ორგანოების კადრში ჩარიცხვისას მას დასჭირდებოდა „სუფთა" ბიოგრაფია და არა კაცისა, რომელსაც შეეხო ამნისტია და კვლავ იწყებს „მოქმედებას"... ამის შედეგად 1981 წლის აგვისტოში თბილისის პროკურორის მიერ შეიცვალა რაიონული პროკურატურის დადგენილება ჩიქოვანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ამნისტიის მოტივით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, საქმე შეეწყვიტათ მის მოქმედებაში დანაშაულის არ არსებობის გამო (!). ამ დადგენილებას საფუძვლად დაედო ასეთი (პარადოქსია, მაგრამ შეიძლება ითქვას ყოვლისმომცველი და იმავ დროს არაფრისმთქმელი) აზრი: — „...ამასთან ერთად, ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, როგორც ამას აჩვენებს თვით მანქანის დაზარალებული მფლობელი, ავტომანქანის კარბურატორი ნორმალურად არ მუშაობდა და ამიტომ გაისმოდა სროლის მსგავსი ხმები, გამორიცხული არ არის ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის მსგავსი გამონაფრქვევის არსებობაც" — და ეს „გამორიცხული არ არის" დაედო საფუძვლად იმის გამართლებას, თითქოსდა ჩიქოვანს მოეჩვენა, რომ მიმავალი ავტომანქანიდან აწარმოებდნენ სროლას და ამის გამო გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ ოთხჯერ ისროლა იმ მანქანის მიმართულებით. უფრო მეტად გასაოცარი და ბევრის მთქმელია ის, რომ ჩიქოვანი გამოძიების პერიოდში არ იყო გადაყენებული დაკავებული თანამდებობიდან, უფრო მეტიც, კიროვის რაიონის პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან 10 დღის შემდეგ, 31 მაისს იგი ინიშნება (!) თბილისის შს სამმართველოს არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად და შეუფერხებლად ასრულებდა ამ მოვალეობას, თუმცა საქმე „დანაშაულის არარსებობის გამო" შეწყვეტილ იქნა მხოლოდ 13 თვის (!) შემდეგ, 1981 წლის 27 აგვისტოს. როგორც იტყვიან აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია, რადგანაც „შეუიარაღებელი თვალითაც" აშკარად ჩანს სამსახურებრივ ოლიმპოსაკენ ჩიქოვანის აღმასვლით სამინისტროს მავან და მავან ხელმძღვანელ მუშაკთა განსაკუთრებული დაინტერესება... და მფარველობა.

ამავე პერიოდში ჩიქოვანის მიერ ჩადენილი იქნა სხვა დარღვევებიც. კერძოდ, შს ორგანოებში სამუშაოდ მიღებისას მან გამოიჩინა არაგულწრფელობა 1966 წელს მისი სკკპ რიგებიდან გარიცხვის ფაქტთან დაკავშირებით. სამსახურებრივი ანკეტის შევსებისას მან ამის მიზეზად მიუთითა „პირველი ქორწინების პერიოდში არანორმალური ოჯახური ურთიერთობა". სინამდვილეში კი პარტიის რიგებიდან მისი გარიცხვის მიზეზი გახდა ის, რომ ჰყავდა რა მეუღლე და შვილი, ურთიერთობა დაიჭირა სხვა ქალთან.

შემდგომში ჩიქოვანი შს სამინისტროს კადრში ჩარიცხვის მიზნით, ითვალისწინებს რა 1979 წელს სამედიცინო კომისიაზე გასვლისას მიღებული უარის თქმის მწარე გამოცდილებას, მიმართავს კიდევ ერთ ფანდს — 1981 წლის მარტში იგი სამინისტროს სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე გადის არა როგორც შს ორგანოებში სამსახურის დაწყებისათვის მისი ვარგისიანობის დასადგენად, არამედ თითქოსდა სამსახურის შემდგომი გაგრძელებისათვის, ამასთან სამედიცინო შემოწმების აქტის შევსებისას მალავს 1979 წელს სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე გასვლის ფაქტს, მან კომისიას არ წარუდგინა სამხედრო ბილეთი და არ მიუთითა საბჭოთა არმიის რიგებიდან მისი დათხოვნის ნამდვილი მიზეზი.

## სამსახურებრივი

## „მოღვაწეობა"

**უოველივე** ამის შემდეგ 1981 წლის ოქტომბერში, რესპუბლიკის შს მინისტრის გ. გვეტაძის ბრძანებით, სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსის გ. ხაზარაძის რეკომენდაციის საფუძველზე, ჩიქოვანი დაინიშნა არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 1981 წლის 9 დეკემბრიდან იგი დაამტკიცეს უფროსის მოადგილედ შს სამინისტროს კადრებში ჩარიცხვით და მილიციის პოდპოლკოვნიკის წოდების მინიჭებით. თუმცა სამმართველოში იყვნენ სამინისტროს კვალიფიციური კადრის ოფიცრები, რომლებიც გაცილებით მეტად იმსახურებდნენ საკადრო რეზერვიდან ამ ადგილზე დაწინაურებით გადასვლას, მაგრამ როგორც იტყვიან, „ძალა აღმართსა ხნავს".

აქ მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო საკადრო პრობლემებზე და ვფიქრობ ჩიქოვანის რესპუბლიკის შს ორგანოებში სამუშაოდ მიღების „აუცილებლობის" და „ენერგიული" ზესვლის მაგალითი კიდევ ერთ, მერამდენედ ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად უნდა გამოგვადგეს. და აი რატომ:

ჩიქოვანი შემოვლითი გზებით აღწევს რა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნას, ეიფორიის მდგომარეობაში მყოფი უკვე დაუფარავად ავლენს თავის ჭეშმარიტ სახეს — თანამშრომელთა მიმართ იჩენს ქედმაღლობას, შეურაცხმყოფელ მოქმედებას, ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას, ერთპიროვნულად წყვეტს კადრების გადაადგილების მთელ რიგ საკითხებს, მტკივნეულად აღიქვამს მის მიმართ გამოთქმულ სულ მცირე შენიშვნებსა და კრიტიკას.

ჩიქოვანის ასეთმა არაკოლეგიალურობამ, უხეშობამ და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებმა გამოიწვია 1981-1985 წლებში სხვადასხვა ინსტანციებში მასზე საჩივრების შესვლა, რომელთა შემოწმებისას ბევრი მათგანი დადასტურდა. მაგრამ რაღაც „უხილავი მანქანების" წყალობით ამ და სხვა ფაქტებზე სათანადო რეაგირება არ მოხდარა. საჩივრებს ეცნობოდნენ ვიწრო წრეში, კოლექტივი საკითხის შესწავლის შედეგებზე ინფორმირებული არ იყო.

ასეთმა მიკერძოებულმა მიდგომამ პირად შემადგენლობაში გამოიწვია უარყოფითი რეაქცია. შეიქმნა მისი დაუსჯელობის მითი, თითქოსდა მის პიროვნებაზე ტაბუ ყოფილიყო დადებული.

კიდევ რამდენიმე შტრიხი ვ. ჩიქოვანის პიროვნების დასახასიათებლად:

1984 წელს, იმყოფებოდა რა ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში არასაუწყებო დაცვის ერთ-ერთი განყოფილების ცენტრალიზებული დაცვის პულტის დისპეტჩერ ლ. ა-ევასთან და სურდა დახმარებოდა მას სასჯელის თავიდან აცილებაში, ჩიქოვანმა ურჩია მას ნაცნობის ხელით შეედგინა ცილისმწამებლური ხასიათის განცხადება პულტის უფროსზე. წერილში მოყვანილი ფაქტების მიხედვით სამმართველოში არაობიექტურად ჩატარდა სამსახურებრივი მოკვლევა, რის შემდეგაც ლ. ა. არ დასჯილა. თავად მას კი ჩიქოვანი აქტიურად იყენებდა არასაუწყებო დაცვის სისტემის ხელმძღვანელ მუშაკებზე კომპრმასალების შესაგროვებლად. მაგალითად, როგორც ამას თავად აღნიშნავს ეს უკანასკნელი, ჩიქოვანმა სთხოვა მიეწვია სტუმრად სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი და მაგნიტოფირზე ჩაეწერა მასთან საუბარი.

ასევე დადგენილი იქნა ქ. თბილისში ჩიქოვანის მიერ ვოლგოგრადის ოლქიდან ჩამოსული მანდილოსნის გ. ლ. — ისათვის ხელშეწყობა არასაუწყებო დაცვის საერთო საცხოვრებელში ჩაწერაში, რამაც საშუალება მისცა ამ უკანასკნელს საერთო წესის გვერდის ავლით შესულიყო კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში და მიეღო ბინა.

ამ მიზნით მან შეადგინა არამართლზომიერი წერილი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საერთო საცხოვრებელში ჩაწერის არსებულ წესს და გააგზავნა იგი სამმართველოს კანცელარიის გვერდის ავლით.

## საქმის ობიექტური მხარე

## და კოლექტივის

## კომუნისტთა აზრი

**1985 წლის** აგვისტოში საქართველოს სსრ შს სამინისტროს პოლიტგანყოფილებამ ღრმად შეისწავლა ჩიქოვანის არასწორი ქცევის ფაქტები, რომლებზედაც სსრკ შს სამინისტროდან შესამოწმებლად გამოგზავნილი წერილები იუწყებოდნენ. მათი შესწავლის პროცესში, სხვა გადაცდომებთან ერთად დამატებით ასევე დადგინდა, 1979-84 წლების განმავლობაში ჩიქოვანი სხვადასხვა მიზეზებით თავისი ქვეშევრდომებისაგან ილებდა სესხს, რომლებსაც ზოგჯერ საერთოდ არ აბრუნებდა.

მიღებული მასალებიდან გამომდინარე სამინისტროს პოლიტგანყოფილებამ შეადგინა ცნობა რომელიც ზომების მისაღებად გადაეგზავნა რესპუბლიკის შს მინისტრს და სამინისტროს პარტიულ კომიტეტს. ჩიქოვანი პოლიტგანყოფილების დოკუმენტს გაეცნო და დასკვნებს დაეთანხმა.

1985 წლის 10 სექტემბერს აღნიშნული ცნობა ჩიქოვანის გადაცდომების შესახებ, ჯერ განხილული იყო არასაუწყებო დაცვის სამმართველოს პარტიული ბიუროს სხდომაზე, ხოლო შემდეგ კი სამმართველოს აპარატის ღია პარტიულ კრებაზე.

კრება ჩატარებული იქნა წესდების მოთხოვნათა სრული დაცვით, გულახდილობის და პრინციპულობის ატმოსფეროში, 15 კომუნისტიდან 14-მა წამოაყენა წინადადება მისი პარტიის რიგებიდან გარიცხვის თაობაზე. ამ წინადადებას კენჭი უყარა 32 კომუნისტმა, რომელთაგანაც მხოლოდ 3 იყო წინააღმდეგი და 1-მა თავი შეიკავა. ამასთან ერთად პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ამბარდნიშვილს, ჩიქოვანთან დაკავშირებით შემოსული წერილების ზედაპირული და არაობიექტური განხილვისათვის გამოეცხადა საყვედური. ასეთი გახლდათ სამმართველოს კომუნისტთა აზრი.

კრების მსვლელობაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად და ჩიქოვანზე მისივე თანამშრომლების მიერ გამოთქმული აზრის საჩვენებლად მოვიყვან რამდენიმე ამონაწერს ამ კრების ოქმიდან:

**დ. ელიაზარაშვილი:** მაღალმა თანამდებობამ თავბრუ დაახვია მას და ეგონა, რომ ყველაფრის უფლება აქვს... ვთვლი, რომ მის მიმართ პოლიტგანყოფილების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ჩიქოვანის ხელმძღვანელ თანამდებობაზე გამოუყენებლობის შესახებ ლიბერალურია, ჩიქოვანი უნდა დათხოვნილ იქნას შს ორგანოებიდან სამსახურებრივი შეუფერებლობით და გაირიცხოს სკკპ რიგებიდან;

**ს. ოზანესიანი:** სამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშვნის შემდეგ ის ძალზე შეიცვალა, გახდა მიუწვდომელი... უხეშად ერეოდა საკადრო საკითხების გადაწყვეტაში, იჩენდა არაობიექტურობას და ტენდენციურობას;

**ტ. სიზანიშვილი:** მის მოქმედებაში დიდი ხანია შეინიშნება ნაკლოვანება — მას პირადი წყენა გადააქვს სამსახურებრივ სფეროში... იგი ძალზე მტკივნეულად აღიქვამს ტექნიკური სამსახურის მისამართით გამოთქმულ ნებისმიერ შენიშვნას;

**ს. თავაძე:** მუშაობის პერიოდში მე პირადად არაერთხელ განვიცადე საკუთარ თავზე მისი არაობიექტურობა. მას გამორჩეულ მდგომარეობაში ჰყავდა ზოგიერთი თანამშრომელი;

**ნ. ამბარდნიშვილი:** მსგავსი განხილვა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას არ ახსოვს... სამწუხაროდ, ყველა ეს ფაქტები უკვე მოყვანილი იყო ჩიქოვანზე შემოსულ ადრინდელ წერილებში, მაგრამ მაშინ ასეთი რეზონანსი არ მიუღიათ, რადგანაც დადასტურება ვერ ნახეს. პარტიული ორგანიზაცია დამნაშავეა იმაში, რომ კომუნისტებს დროულად არ მიეწოდა ინფორმაცია ამ წერილების შინაარსზე.

არასაუწყებო დაცვის სამმართველოს პარტიული კრების გადაწყვეტილება ჩიქოვანის პარტიის რიგებიდან გარიცხვის შესახებ 1986 წლის 31 იანვარს დაამტკიცა სამინისტროს პარტიულმა კომიტეტმა, ხოლო 1986 წლის 18 სექტემბერს პარტიის კალინინის რაიკომის ბიურომ.

აქვე მოვიყვან რამდენიმე წინადადებას ჩიქოვანის დახასიათებიდან, რომელსაც ხელს აწერს სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა: „... სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის და სამინისტროს კადრში ჩარიცხვის შემდეგ ვ. ჩიქოვანმა საგრძნობლად შეასუსტა ყურადღება სამსახურისადმი, ქვეშევრდომთა მიმართ იჩენდა თავშეუკავებლობას და უხეშობას, ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას..."

## ორგანოებიდან დათხოვნა

## — კვლავ ჯანმრთელობის

## გამო

**1985 წლის** 29 აგვისტოს ჩიქოვანმა სამინისტროს ხელმძღვანელობას მიმართა პატაკით, რომელშიც ითხოვდა სამხედრო — სამედიცინო კომისიაზე გატარებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით შემდგომში შს ორგანოებიდან დათხოვნის მიზნით.

1985 წლის 3 სექტემბერს იგი გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან და გაწვეული იქნა კადრების განკარგულებაში. 1985 წლის დეკემბერში კი შს სამინისტროს კოლეგიამ თავისი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ჩიქოვანის თხოვნა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ ჯანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის გამო.

## გოლოთქმა

**ყველაფერ** ზემოთქმულთან ერთად მინდა მოგახსენოთ, რომ ჩიქოვანის პიროვნებისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს გამოგონილ ფაქტებზე დაყრდნობით მისთვის არასასურველ ადამიანებზე საჩივრის შეთხზვა, ადრე მის მიერ თქმულის ან ოფიციალურად დაწერილის ერთი ხელის მოსმით უარყოფა და იმ დროისათვის შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით მისთვის ხელსაყრელი, სრულიად საწ[illegible] გამოთქმა. ამის [illegible] ვიძლია მოვიყვანო [illegible] ტი, მათ შორის ვ. ჩიქოვანის საჩივარი არასაუწყებო დაცვის სამმართველოს ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკზე, რომელიც თითქოსდა არის მასზე არსებული საჩივრების ავტორი. არადა ადრე მისთვის მიცემულ დახასიათებაში ჩიქოვანი მას დადებითად ახასიათებს.

ასევე ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ჩიქოვანი უარყოფს პატაკის (!) არსებობას, რომელშიც იგი ითხოვს სამედიცინო კომისიაზე გასვლას, ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით, შემდგომში შს ორგანოებიდან დათხოვნის მიზნით. და ეს მაშინ, როდესაც მასზე მოკვლეული მასალები სავსებით საკმარისი იყო მისი შს ორგანოებიდან უარყოფითი მოტივით დათხოვნისათვის (თუ არა უფრო მეტი), რასაც ეთანხმებოდნენ კოლეგიის წევრები, მაგრამ იგივე პოლიტგანყოფილების წინადადებით მის მიმართ გამოჩენილი იქნა ჰუმანურობა, მიეცა საშუალება გასულიყო პენსიაზე საკუთარი პატაკის საფუძველზე...

რა მოგვცა ამ ერთმა შეცდომამ საკადრო მუშაობაში — ჩიქოვანის დანიშვნამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობაზე? — სამმართველოში დამძიმებული ატმოსფეროს შექმნა, საკადრო საკითხების ტენდენციური გადაწყვეტა, თანამშრომლების შევიწროება კრიტიკისათვის, მათზე მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვება და ა. შ. მისი ჭეშმარიტი პიროვნების გამოაშკარავების შემდეგ კი დაიწყო გაუთავებელი საჩივრები სხვადასხვა ინსტანციებში, რომელთა შესწავლაც წლების განმავლობაში მიმდინარეობს და ცდება ადგილობრივი და საკავშირო ორგანოების ათობით თანამშრომელი თავისი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, რათა გაერკვეს „სამართლიანობისათვის მებრძოლი" ჩიქოვანის განცხადებებში.

მოდით და ამის მერე განსაზღვრეთ ვინ არის ვინ...

**ქ. ანდრიაძე.**

**Тревожными выдались первые дни декабря для огнеборцев и всего населения столицы Аджарии, где в течении более двух суток велась борьба с пожаром, равного которому на территории республики не припомнят даже ветераны пожарной охраны. В многочисленных публикациях республиканской и союзной печати как-то в стороне, в тени изложения фактов, осталась проделанная ими огромная работа. Предлагаемая ниже краткая хроника этих драматических дней призвана восполнить этот пробел, подробнее рассказать о работе тех, кто превозмогая усталость, рискуя жизнью на передней линии вел самоотверженную борьбу с разбушевавшейся огненной стихией.**

ПО ЗАКОНАМ МУЖЕСТВА

# Хроника тревожных дней



**13 ЧАСОВ 48 МИНУТ.** Именно в это время, казалось, не предвещавшего беды воскресного дня, в дежурную часть ВПЧ-34 поступило сообщение о возникновении пожара на сырьевой базе Батумского нефтеперерабатывающего завода Минхимнефтепрома СССР. О случившемся немедленно были информированы Центральный пункт пожарной службы республики, руководство ОПО и дежурная часть МВД Аджарской АССР, был объявлен сбор начальствующего состава. Уже через пять минут после получения сообщения на место происшествия прибыло подразделение ВПЧ-34, возглавляемое начальником какаула старшим лейтенантом в/с В. Гогитидзе.

К моменту прибытия пожарных, огнем было охвачено 900 кв. метров территории завода, в том числе загазученной поверхности около двух резервуаров №№ 118 и 127, отдельные языки пламени виднелись и на крышах резервуаров. После оценки обстановки бойцы подразделения приступили к локализации пожара, чтобы огонь не перекинулся на соседние резервуары и постройки. На боевых позициях были развернуть пенные генераторы, в сплошную стену огня и дыма ударили мощные струи воды.

**14 часов 08 минут.** На месте пожара сосредоточено уже 10 автоцистерн, пожарно-насосная станция, автомобиль с пожарными рукавами. Создан штаб пожаротушения, который возглавил начальник ОПО МВД Аджарской АССР полковник в/с О. Цинцадзе. Руководством завода предпринята попытка откачать нефть из резервуара 172, однако сделать это не удалось из-за того, что прогорели продкладки задвижки. Одновременно велась откачка нефтепродуктов из резервуара 118.

**15 часов 30 минут.** Подразделениями под руководством майоров в/с Н. Цецхладзе и Д. Хавлошвили с двух сторон — реки Королис-Цкали и насосной станции предприняты с интервалом в один час две попытки пеной атаки на очаг пожара. Несмотря на умелые и самоотверженные действия пожарных из-за сложного рельефа местности и интенсивности горения достичь успеха не удалось. Не принесла желаемых результатов и предпринятая в 17 ч. 40 м. и продолжавшаяся более часа еще одна атака с применением пяти ручных пеноподъемников. Было принято решение остановить пенную атаку и увеличить интенсивность подачи воды для охлаждения горящих объектов. Положение осложнялось, с 18 вечера до 6 утра следующих суток произошло пять переливов нефти из горящих резервуаров, последствия которых, однако, быстро ликвидировались.

**17 часов 22 минуты.** В связи с осложнением обстановки создан республиканский оперативный штаб под руководством начальника УПО МВД ГССР полковника в/с Д. Сурмава. Проводится концентрация сил и средств пожарной охраны всей Западной Грузии, в общей сложности в Батуми было направлено 27 боевых единиц техники из Кобулети, Ланчхути, Озургети, Поти, Сухуми, Сенаки, Зугдиди, Кутаиси, Гори, Тбилиси, Самтредия, Гагра, Цхакая. Благодаря активной помощи работников Закавказской железной дороги, в Батуми своевременно прибыли пожарные из Самтредия и Хашури, были доставлены около 170 тонн пенообразователя, запасные рукава, другая техника.

**В 7 часов 55 минут** утра 4 декабря из резервуара 127 произошел выброс нефти. Это был пожалуй один из самых драматических моментов в тушении пожара. Горящая нефть поднялась на высоту 50-70 метров, море огня буквально затопило территорию до 5 гектаров. О напряженности момента свидетельствует и тот факт, что пламенем было охвачено и помещение столовой турбазы, где располагался штаб пожаротушения.

Под напором огня личный состав был вынужден временно покинуть боевые позиции, однако благодаря принятым мерам никто из пожарных не пострадал. Вскоре новым наступлением, очаг пожара был вновь локализирован.

**8 часов 25 минут.** Прибывшим на место пожара и возглавившим его тушение начальником УПО МВД ГССР полковником в/с Д. Сурмава была произведена перегруппировка сил и средств. Территория пожара разбита на два сектора, были выделены дополнительные силы из резервов. Новую атаку на огонь предприняли подразделения, которые возглавили также прибывшие из Тбилиси заместитель начальника УПО МВД ГССР полковник в/с Н. Циклаури и начальник отдела службы и подготовки управления подполковник в/с О. Наникашвили.

Еще один выброс нефти из резервуара 118 произошел в половине третьего дня, вновь огонь распространился по территории, и вновь бесстрашные действия пожарных заставили отступить стену огня. Подобная неравная схватка пожарных с огненной стихией продолжалась в течение дня и всей ночи, не раз происходили небольшие взрывы, веерообразные выбросы нефти, правда уже в меньших масштабах, и только под утро в 10 часов 15 минут пожар был ликвидирован.

«Материальный ущерб от пожара по не уточненным данным составил около 400 тысяч рублей, но он мог быть гораздо большим, если бы не мужественные действия более 250 бойцов пожарной охраны, среди которых особенно отличились зам. начальника ВПЧ-33 капитан в/с Л. Беридзе, нач. караула ВПЧ-34 ст. лейтенант в/с Р. Макаришвили, зам. нач. ОВПО-3 майор в/с В. Ногандели, нач. какаула ВПЧ-35 капитан в/с Н. Сарханидзе, старшина СВПЧ-31 З. Давитадзе, командир отделения ВПЧ-34 Э. Шарадзе, пожарные Т. Шакаришвили, Л. Чаганидзе и многие другие, а также активно помогавших им 50 сотрудников милиции и 60 бойцов подразделения воинской части г. Батуми, не допустивших распространения пожара на прилегающей жилой массив, другие резервуары, — рассказывает полковник в/с Д. Сурмава, — их действия получили высокую оценку принявшего участие в руководстве тушением пожара первого заместителя начальника ГУПО МВД СССР генерал-майора в/с И. Кимстача. Следует отметить, что для оказания практической помощи в тушении пожара по распоряжению ГУПО МВД СССР в Батуми прибыли подразделения пожарных из Азербайджанской ССР и г. Куйбышева».

Происшедшие события, несмотря на их относительно благополучное завершение, помимо уверенных действий пожарных, еще раз высветили и многие до сих пор нерешенные проблемы.

«Материальная обеспеченность пожарной службы в республике, особенно специной техникой и вооружением явно недостаточны, — высказывает в письме в редакцию свое мнение начальник военизированного подразделения пожарной охраны г. Поти Л. Чочуа, — из-за невысоких зарплат есть трудности в комплектовании пожарных частей квалифицированными кадрами, их профессиональной подготовке. А ведь работа пожарных сберегает большое количество государственного имущества».

Трудно не согласиться с этим мнением. Сейчас, в условиях перехода республики на экономическую самостоятельность особенно важно принимать действенные усилия для охраны от огня народного добра, а для этого, думается, никакие затраты на укрепление и совершенствование пожарной службы республики не будут лишними или чрезмерными.

**А. ЦАТУРОВ.**

განვიხილავთ კანონპროექტს

• 

## „სამართლიანად ვთვლი, მხარს ვუჭერ"

**პატივცემულო** რედაქციავ! წავიკითხე, მომეწონა და მინდა საკუთარი მოსაზრებები გამოვთქვა გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" 25 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „სამართლიანობის პრინციპებით", სადაც თავის მოსაზრებებს გვიზიარებს ქ. თბილისის შს სამმართველოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა დაცვის მილიციის ცალკე დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი რ. გრიგალაშვილი.

სრულიად სამართლიანად ვთვლი, მხარს ვუჭერ და ვეთანხმები პატივცემული რ. გრიგალაშვილის მოსაზრებებს პენსიების თაობაზე და მინდა საკუთარი აზრიც გაგიზიაროთ.

მართალია ვერ გაუტოლდება სახალხო მეურნეობაში ან სხვა დაწესებულებაში მუშაობა საბჭოთა მილიციელის ან ოფიცრის შრომასა და რისკს შს ორგანოებში მუშაობისას, ის უძილო ღამეები და პასუხისმგებლობა, რაც თანამშრომლის მხრებზე მოდის პენსიაზე გასვლამდე, მაგრამ მაინც აუცილებელია, რომ ეს სტაჟი, რომელიც შს ორგანოში მოსვლამდე აქვს მილიციის მუშაკს, პენსიაზე გასვლისას ჩაეთვალოს საერთო სამუშაო სტაჟში, ვინაიდან მან ფაქტიურად შეასრულა ესა თუ ის სამუშაო გარკვეული დროის განმავლობაში, მიიღო გარკვეული თანხა ხელფასის სახით და ასევე გადაიხადა საწევრო ანარიცხი, როგორც კომკავშირის, ასევე სკკპ წევრობისა. ამასთანავე მიზანშეწონილი იქნებოდა და მომავალ თაობას ხელს შეუწყობდა იმ სწრაფვაში, ვინც ოფიქრებს იმუშაოს შს ორგანიზაციებში თუკი მას ეცოდინება, რომ როცა შეუსრულდება მუშაობის 25 წელი შს ორგანოებში და შეუსრულდება 55 წელი ყოველ წელზე 25 წლის ზევით მიიღებენ, რიგოსანთა შემადგენლობა ყოველ ერთ წელზე 3 პროცენტ დანამატს, ხოლო ოფიცერთა შემადგენლობა მაგალითად 10 პროცენტს.

ამ სხვაობას ვხედავ იმაში, რომ რიგოსანთა შემადგენლობას მაინც იმდენი პასუხისმგებლობა არ აკისრია.

**ე. ბეტუნაშვილი,**
**ქ. რუსთავის შს განყოფილებასთან არსებული დაცვის განყოფილების ქვედანაყოფის მეთაური, მილიციის კაპიტანი.**

## • მადლობის სტრიქონები

**ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც პირველი მაისის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტებიდან — მაღაზიების № 10 და 25, თბილკულტსამეურნეო მაღაზია № 40 და 62, № 14 აფთიაქის ხელმძღვანელები გვწერენ:** ათეულის მეთაური მილიციის ზემდეგი გ. ჯანანაშვილი, მილიციის სერჟანტი ზ. სულაშვილი და მილიციის უფროსი სერჟანტი ჯ. წიკლაური ჩვენს უბანს ემსახურებიან.

მათი სამსახური განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადგან გარდა იმისა, რომ წესრიგს იცავენ, გვეხმარებიან მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვაში. მოქალაქეებისადმი დამოკიდებულებაში არიან ტაქტიანი.

ჩვენი ობიექტები განლაგებულია ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც არც ისე ადვილია სანიმუშო წესრიგის დაცვა, ამიტომ ჩვენი თანამშრომლების სურვილია, თუ კი საშუალება გექნებათ, ისინი გააცნოთ მათ კოლეგებსაც.

**Целенаправленная работа ведется в нынешнем году сотрудниками Грузинского управления внутренних дел на транспорте по борьбе с наркоманией. Если за десять месяцев 1988 года за употребление и торговлю наркотическими веществами сотрудниками ГУВДТ были возвуждены 27 уголовных дел против 31 человека, то в нынешнем году за этот же период было раскрыто 45 фактов, было изъято 55 кг. разных наркотических веществ.**

## Торговцам наркотиками — надежный заслон

**НЕДАВНО** благодаря оперативным мерам группа работников ГУВДТ вместе с реализатором наркотиков гр. В. Т., который привез из г. Чимкента наркотическое вещество «анаша» по «горячим следам», задержали и его друга гр-на А., на квартире у которого в г. Чимкенте было изъято 2 кг. 500 граммов «анаша».

« Таких примеров не мало, — рассказывает начальник ОУР ГУВДТ подполковник милиции А. Алашвили, — благодаря оперативным действиям наших сотрудников мы разоблачаем реализаторов наркотиков и за пределами нашей республики, куда ведут нити преступлений.

Недавно милиционеры ЛОВД на станции Тбилиси Г. Ганличидзе и Э. Турманидзе задержали на территории вокзала гражданина Н., жителя города Чимкента ранее трижды судимого, у которого было изъято 25 кг. наркотического вещества «марихуана». По данному факту, также после проведенных оперативных мероприятий, начальником следственного отделения майором милиции У. Иараджули, оперуполномоченным ОУР ГУВДТ капитаном милиции М. Кипиани был выявлен и задержан реализатор, житель г. Тбилиси, у которого дома было изъято 3 кг. 500 граммов наркотического вещества «анаша».

1 декабря нынешнего года сотрудниками отделения ОУР Самтредского ЛОВД старшим лейтенантом милиции Г. Гвазава и старшиной милиции Д. Минашвили в поезде Киев — Тбилиси был задержан гр. А. А., житель города Еревана, у которого было изъято 300 граммов «анаши» и медицинский шприц.

Как видите из приведенных примеров большинство задержанных приезжие, которые не брезгуя ни чем ради наживы, привозят в наш город наркотические вещества и, к сожалению, находят здесь и соучастников. Периодически выявляются коренные жители участвующие в такого рода преступлениях Например ,недавно сотрудниками милиции Тбилисского аэропорта был задержан житель Тбилиси А., который пытался реализовать 2 кг. 500 граммов наркотического вещества «анаша» привезенного им из Ташкента. И на сей раз, благодаря бдительности сотрудников транспортной милиции зло было нейтрализовано.

**А. МАЛАЯНЦ.**

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

## Опыт создания централизованного пункта управления в УВД Карагандинского горисполкома

**ПРИ ДЕЖУРНОЙ** части УВД Карагандинского горисполкома создан централизованный пункт управления (ЦПУ), в задачи которого входят координация деятельности всех служб милиции, осуществление оперативного маневрирования нарядами, обеспечение взаимодействия между нарядами и дежурными частями РОВД в пресечении и раскрытии преступлений, своевременное реагирование на сообщения граждан по телефону «02».

Для обеспечения функционирования ЦПУ из имеющейся штатной численности выделены три должности инспекторов - дежурных с круглосуточным, трехсменным режимом работы. На период несения службы ОБППС и нарядами войсковой части выделяются милиционеры-радисты (по одному от каждого подразделения) для радиосвязи с нарядами.

В специально оборудованном помещении ЦПУ смонтирован пульт СПС-30, на который выведены городские и внутренние линии АТС, транзитные линии связи с дежурными частями РОВД, ОБППС, войсковой части, ГАИ, ЛОВДТ. Центральной диспетчерской службой пассажирского автоуправления, а также линии связи с оперативным дежурным и операторами «02». Кроме того, на ЦПУ установлены «Виола-Ц», «Нира» и «Пальма».

Располагая данными о расстановке нарядов, их позывными, дежурная часть получила возможность незамедлительной целевой передачи им необходимых сведений. В результате повысилась оперативность реагирования, улучшилось качество информационного обмена с гражданами и нарядами милиции, что особенно важно для пресечения грабежей и угонов автомототранспорта.

Централизованное управление оперативными силами и средствами милиции, задействованными на охрану общественного порядка, нашло поддержку у личного состава, позволило повысить эффективность работы ППС по предупреждению и раскрытию преступлений.

В настоящее время ведется подготовка к установке в дежурной части УВД горисполкома радиостанций, позволяющих вести радиообмен с диспетчером и водителями автомашин «такси». Это даст дополнительную информацию о состоянии правопорядка в городе, поможет привлечь водителей к розыску угнанного автомототранспорта и похищенного имущества.

**Подробная информация имеется в УВД Карагандинского горисполкома.**





თბილისის შს სამმართველოს ხელმძღვანელობის ინიციატივით ჩატარდა „მხიარული სტარტები“, რომელშიც მონაწილეობდნენ წყალმომარაგებისა და სახობიექტების დაცვის დანაყოფის თანამშრომლების შვილები და № 142 სკოლის მოსწავლეები. ცალკე ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს მილიციის მუშაკები და სკოლის მასწავლებლები. შეხვედრის დროს მაყურებლებს თავის ოსტატობას უჩვენებდნენ ფ. ე. ძერჟინსკის სახ. კულტურის სახლის ნორჩ მოცეკვავეთა ანსამბლი და საქართველოს მხატვრულ ტანვარჯიშეთა ნაკრების წევრები.

შეჯიბრებამ მართლაც მხიარულად და საინტერესოდ ჩაიარა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით თბილისის შს სამმართველოს ფიზმომზადებისა და სპორტის ჯგუფის თანამშრომლებს (უფროსი, მილიციის მაიორი თ. ლაკია).

## Весь пьедестал—динамовский

**НА КОРТАХ** Дворца тенниса и «Динамо» завершился зимний чемпионат города Тбилиси, в котором приняли участие 24 мужчины и 16 женщин. К сожалению мы не увидели наших лидеров—многократных чемпионов Грузии и Советского Союза Л. Месхи и В. Габричидзе, но тем не менее борьба за награды, особенно у женщин, проходила напряженно и увлекательно. Об этом говорит тот факт, что судейской коллегии для выявления финалистов пришлось пребегнуть к арифметическим подсчетам, так как в одной из подгрупп, а их было две, трое участников набрали одинаковое количество очков и побед. Только после тщательного подсчета выигрышных сетов все встало на свои места.

Итак у женщин в финал вышли две динамовки — подруги, молодые кандидаты в мастера спорта В. Тухарели и И. Кулдонашвили. Выиграв в двух партиях В. Тухарели впервые стала чемпионкой зимнего чемпионата г. Тбилиси, в борьбе за третье место также должны были встретиться динамовки — мастера спорта Э. Тохадзе, и Л. Тамирова однако из-за болезни последней третье призовое место было присвоено Э. Тохадзе.

В отличие от женского турнира, где всеми призерами стали динамовки, у мужчин в финале встретились мастер спорта международного класса Д. Качарава («Динамо») и студент Тбилисского государственного института физической культуры А. Симонян. В этом матче преимущество динамовца было очевидным. Качарава стал чемпионом, второе место у А. Симоняна, а третьим призером стал мастер спорта К. Гогелия. (ГПИ).

Скоро наши лучшие мастера вместе с Месхи и Габричидзе примут участие в открытом первенстве Москвы.

А. МАЛАЦИДЗЕ.

გ. თოფურია

## განსხვავებული ცრემლები

**...გათენდა.** ოთარმა ხელ-პირი დაიბანა, თმა გადაივარცხნა, შავი კოსტუმი ჩაიცვა, სარკესთან რამდენიმეჯერ შეტრიალდ-შემოტრიალდა, ეზოში ჩავიდა, ავტომანქანა აამუშავა და სოფელ გეჯეთისაკენ გზას გაუყვა. ერთი საათის შემდეგ სოფელსაც მიაღწია. სოფლის ცენტრთან მანქანა შეაჩერა და ჩაის საკრეფად მიმავალ ახალგაზრდა ქალს ჰუტუ რურუას სახლის ადგილსამყოფელი ჰკითხა. ახალგაზრდა ქალმა ხელით მიანიშნა ჰუტუ რურუას სახლი. ოთარმა მინიშნებული ჭიშკრის წინ გააჩერა ავტომანქანა,

— მასპინძელო!...

ოდის წინ მდებარე ეზო მიგანიშნებდათ, რომ აქ მშრომელი და გამრჯე კაცი ცხოვრობდა. ძახილზე ხანში შესული ქალი გამოვიდა და შეეხმიანა:

— რომელი ხართ მაქ?!

— სტუმარი კაცი ვარ ქალბატონო, ჰუტუს სოფლიდან და თუ შეიძლება გამომხედეთ, — განგებ რაც შეეძლო ხმამაღლა დაიძახა ოთარმა.

ქალი ჭიშკრისაკენ წამოფარფატდა. ჭიშკართან მისულმა ოდნავ თვალების მოჭუტვით შეათვალიერა სტუმარი და მიუგო:

— უკაცრავად კი ვარ თქვენთან ბატონო, მარა ვერ გიცანით მე.

— თქვენ აბა რას მიცნობთ ქალბატონო, მე ბიკი კვარაცხელიას უფროსი ვაჟიშვილი გახლავართ და კაი დიდი ხანია თბილისში ვცხოვრობ.

— ღმერთო მომკალი, თქვენ ჩვენი ბიკი კვარაცხელიას ვაჟიშვილი ბრძანდებით ბატონო?! — შეიცხადა ეფროსინემ და განაგრძო — მობრძანდით ბატონო, სახლში შემობრძანდით.

— არა ქალბატონო, არ შეგაწუხებთ ბატონი ჰუტუს ნახვა მინდოდა მე.

— ჰუტუ აგერ მეზობლისასაა გადასული. თქვენ აგერ მობრძანდით სახლში, დაბრძანდით, მე ახლავე გავიქცევი და მოვიყვან...

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ჰუტუ შემოვიდა. ეს იყო მზეზე გარუჯული წარმოსადეგი მამაკაცი. ხნოვანებას თავისი კვალი დაემჩნია მისთვის, მაგრამ ერთობ მიმზიდველი და ლამაზი პირისახე ჰქონდა.

— მე რესპუბლიკის შს სამინისტროს განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეების გამომძიებელი მაიორი ოთარ ხომერიკი გახლავართ. აი ჩემი პირადობის მოწმობა. ბატონო ჰუტუ, ვიცი რა ძნელი და რა მტკივნეულია თქვენთვის ყოველივე იმის გახსენება, რაც თქვენი ვაჟიშვილის გურამის დაკარგვის გარემოებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ სხვა გზა და საშუალება ამჟამად მე არ გამაჩნია...

— გისმენთ ოთარ ბატონო.

— როდის შეიტყვეთ დიდიკო დიხამინჯიას გარდაცვალების შესახებ?

— რომ დაასაფლავეს იმ დღეს, მარა ჩემი ოჯახიდან არც ერთი არ დავსწრებივართ დიდიკოს დასაფლავებას. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენთან წესადაა მიღებული ოჯახების წერილობით დაპატიჟება, როგორც სალხინო სუფრაზე, ისე ტირილის დროს. მართალია ეს უკანასკნელი არც თუ ისე გამართლებული წესია, მარა... ისე, მართალი გითხრათ ძალზე გამიკვირდა ეს. ამიტომ ავდექი და წერილი გავგზავნე ხარკოვში ჩემს გურამისთან, სადაც ვწერდი, რომ ეცნობებინა, თუ რაში იყო საქმე, რა პირობებში და რა გარემოებებში მოხდა დიდიკო დიხამინჯიას დაღუპვა და რატომ არ ჩამოვიდნენ მის დასაფლავებაზე ოთარი და ასლანი. ისინი ხომ ერთად სწავლობდნენ ხარკოვში, სამედიცინო ინსტიტუტში, ამასთან ხამივენი ერთად ცხოვრობდნენ მშვიდობის ქუჩაზე, ერთ კერძო ბინაში — ქირით. თანაც ისიც კარგად ვიცოდი, თუ როგორ უყვარდათ სამივეს ერთმანეთი და როგორ პატივს სცემდნენ ერთურთს, წერილი მალე უკან დამიბრუნდა: ამ მისამართზე ასეთი გვარისა და სახელის არავინ ცხოვრობსო, უფრო სწორად, სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლადო, მაგრამ სად ჩვენთვის არაა ცნობილიო.

— თქვენი შვილის დაკარგვის ამბავი ვინ გაგაგებინათ და როდის?

— ხარკოვის შინაგან საქმეთა განყოფილებამ დიდიკო დიხამინჯიას დასაფლავებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ:

— მერე რა მოიმოქმედეთ?

— თითქმის არაფერი. საქმე იმაში გახლავთ, რომ გურამის დაკარგვის დეპეშა პირველად ცხონებულმა დედამისმა მიიღო. მე რომ სამსახურიდან დავბრუნდი ის უბედური სახეს იკაწრავდა, კიოდა და მოსთქვამდა. მერე ტირილითვე შემომჩივლა ეს ამბავი. გამუდმებით კიოდა ის საწყალი და გურამის დაკარგვიდან ერთი კვირის თავზე კიდეც გარდაიცვალა შვილზე დარდით. გასვენებაზე ყველა ჩვენს ნათესავს გავუგზავნე დაპატიჟების წერილი, მარა მათგან არავინ მოსულა დაკრძალვაზე. მათმა მოუსვლელობამ, რატომღაც ავი ეჭვები აღმიძრეს. ჯერ ორმოცი არ გადამიხდია იმ საცოდავისათვის. აი, გადავიხდი ორმოცს, სამსახურიდან შვებულებას ვიღებ, გადავფრინდები ხარკოვში, მოვძებნი ასლან ჰინჰარაძეს და ეგება მან მითხრას რამე ჩემი გურამის შესახებ?

— თქვენი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დიხამინჯიებს ხომ არ შეხვედრიხართ სადმე?

— არა.

— ვინმესთან ხომ არაფერი გილაპარაკიათ, ან ხომ არ დამუქრებიხართ დიხამინჯიებს?

— არა ასეთი არაფერი ყოფილა. მე წეღან გითხარით, რომ ჩემი მეუღლის დაკრძალვაზე რომ არ მობრძანდნენ დიხამინჯიები ამან დამაეჭვა-თქვა. ჩემი ეჭვები ჩემს განცხადებაში ჩამოვაყალიბე და თბილისში გავგზავნე ფოსტით რესპუბლიკურ შინაგან საქმეთა სამინისტროში, საიდანაც მაცნობეს, რომ მიიღებდნენ სათანადო ზომებს.

— ხალხში ხმა დადის, თითქოს თქვენ მოსაკლავად დასდევთ დავით დიხამინჯიას. რითი ახსნით ამას?

— ასეთი რამ არასოდეს განმიზრახავს. თუმცა ჩემი მეუღლის დაკრძალვის დღეს, სასაფლაოზე უკანასკნელი გამომშვიდობების ჟამს, გამწარებულმა წამოვიძახე: ვფიცავარ, რომ ჩემი ოჯახის დამანგრეველს ცოცხალს არ გაუშვებთქვა! დიხამინჯიები კი საერთოდ არ მიხსენებია.

— მიუხედავად ამისა გამოდის, რომ ხალხმა თქვენს მიერ სასაფლაოზე წარმოთქმული სიტყვების აქცენტი დიხამინჯიებზე გადაიტანა.

— ასე გამოდის, მოგეხსენებათ ხალხის ამბავი...

— ბატონო ჰუტუ, ხარკოვში წასვლისა და ასლან ჯინჯარაძის ნახვისაგან თავი შეიკავეთ, ამ საქმეს მე თვითონ მოვუვლი. ჩემი სტუმრობის ნამდვილ მიზეზსაც ნურავის გააგებინებთ. საქმის ვითარება ასე მოითხოვს.

●

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 47-50.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

საქართველოს შს სამინისტროს გამასწორებელ საქმეთა სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დაწესებულება უი 128/34-ის რაზმეულის უფროსი, შინაგანი სამსახურის კაპიტანი

**ალექსანდრე რევაზის ძე ჯანიაშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95--66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართი: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 13672